მომსახურეობის ხელშეკრულება № 18

ქ. ჯვარი *„18“ - თებერვალი“ 2021 წ.*

ერთი მხრივ, სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ (შემდგომში „**დამკვეთი**“) წარმოდგენილი დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავას სახით და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი - შადა შეროზია, პირადობის № 51001001090, № 09AK67056, მისამართი: წალენჯიხა, საჩინო, შემდეგში: „**შემსრულებელი“** 2021 წლის 12 თებერვლის № MES 5 21 0000105038 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება მომსახურეობის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - დამკვეთსა და შემსრულებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4. „დამკვეთი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „შემსრულებელი“ – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ა/წ 18,25 თებერვალსა და 4,11 მარტს № 94 ჯგუფის სტუდენტთა ტრანსპორტირება ქ.ზუგდიდში ი/მ გიორგი შონიას საამქროში.

CPV – 60100000 - ავტოსატრანსპორტო მომსახურეობის გაწევა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **400,00 (ოთხასი) ლარი**;

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3.3. დაფინანსების წყარო - საკუთარი სახსრები (ვაუჩერული დაფინანსება)

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისასთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ფორს–მაჟორი

5.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

5.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. დავა

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. აღნიშნული მომსახურეობა ჩაითვლება დასრულებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება გაწეული მომსახურეობის დასრულებისას.

9. ინტერესთა კონფლიქტი

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში შემსრულებელთან.

10. ანგარიშსწორება

10.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

10.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისიწინებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 30 მარტის ჩათვლით.

12.მხარეთა რეკვიზიტები:

შემკვეთი:

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“-ს

წარმოდგენილი დირექტორის

მ/შ თეანა ქუხილავას სახით,

მისამართი: ქ. ჯვარი-,ყაზბეგის ქ. #2

ს/კ 242728679

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა

თეანა ქუხილავა

TEANA KUKHILAVA

TEANA KUKHILAVA
cn=TEANA KUKHILAVA, o=LEPL COLLEGE "LAKADA', ou=COLLEGE "LAKADA', email=ssipjvari@gmail.com, c=GE
2021.02.18 09:32:39 +04'00'

შემსრულებელი:

ფიზიკური პირი - შადა შეროზია

მისამართი: ქ. წალენჯიხა, საჩინო,

პ/№ 51001001090

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი BAGAGE22

ა/ა №GE57BG0000000847249000

შადა შეროზია

Shada Sherozia

Shada Sherozia
cn=Shada Sherozia, serialNumber=51001001090, o=Citizen, c=GE
2021.02.18 09:55:08 +04'00'